ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8040107

ნომერი: AR11154593

თარიღი : 29.07.2026

გაცემის თარიღი : 11.08.2026

გაცნობის თარიღი : 11.08.2026

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიცკევიჩი , N 62;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გამყრელიძე პ/ნ 01017041896
- თბილისი ვ.კოტეტიშვილის შეს. N 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR11154593 (29/07/2026) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12/03/2024 წლის № 7306831 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით და ოფისის ნაცვლად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებას

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) წარმოადგენს

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
0,5
კოეფიციენტი
კ-2
2,5
კოეფიციენტი
კ-3
0,3
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
600/700*
კვ.მ
მინიმალური სიგანე
15/20*
მეტრი
მინიმალური სიღრმე
25/30*
მეტრი

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე
-
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.

ვინაიდან ნაკვეთი ს/კ N 01.10.14.016.003 ვერ აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების ყველა პარამეტრს, კერძოდ: - მინიმალურ ფართობს და მინიმალურ სიგანეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს 29/07/2026 AR11154593 განცხადებას.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.